

გიორგი გობრონიძე

**ისლამის რადიკალიზაციის პრობლემა, სახელმწიფოს
პოლიტიკა და რეგიონული თანამშრომლობის
პერსპექტივები – ხედვა საქართველოდან**

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს კონფლიქტის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ფონდის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ „კავკასიურ სახლს“ და იგი არ უნდა მივიჩნიოდ თბილისში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციად.

ავტორი
რედაქტორი
პროექტის ხელმძღვანელი

გიორგი გობრონიძე
მარიამ გაჩეჩილაძე
გიორგი კანაშვილი

„კავკასიური სახლი“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მშვიდობიანი განვითარებისთვის იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბაზისის შექმნა. „კავკასიური სახლი“ დიდი ხანია მუშაობს რეგიონული განვითარებისა და საქართველოსა თუ კავკასიაში ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის თემებზე. ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელიც მოიცავდა ქართველი და უცხოელი ახალგაზრდა ანალიტიკოსების ერთობლივ კვლევებს, საინფორმაციო ვიზიტებს საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებში, სამუშაო შეხვედრებს სამთავრობო თუ საექსპერტო საზოგადოების წევრებთან და სხვა... ამავდროულად პროექტების ფარგლებში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გამოიცა ათზე მეტი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელთა თემატიკა ეხება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, ჩრდილოეთ კავკასიას, რუსულ-უკრაინულ კონფლიქტს და ა.შ.

წინამდებარე პოლიტიკური დოკუმენტი მომზადდა 2017 წელს პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში. დოკუმენტი შეეხება საქართველოსა და რუსეთში ისლამის რადიკალიზაციის საკითხებს, კერძოდ, ტერორიზმის გააქტიურების საფრთხეს, ამ საფრთხესთან გამკლავების სახელმწიფო პოლიტიკას და რუსეთ-საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტი ორნაწილიანი ნაშრომის პირველი ნაწილია, სადაც წარმოდგენილია ზემოხსენებულ საკითხებზე ქართული მხარის ხედვა.

სარჩევი

აბსტრაქტი	6
თანამედროვე ტერორისტული საფრთხის მოკლე მიმოხილვა	7
ისლამი საქართველოში	8
ისლამის რადიკალიზაციის პრობლემა საქართველოში	9
საქართველოს ანტიტერორისტული პოლიტიკის მიმოხილვა.....	13
პრობლემები და გამონწვევები.....	15
რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას.....	17
რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.....	17
ბიბლიოგრაფია	18

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე ისლამის რადიკალიზაციის ტენდენციები და მათგან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მას შემდეგ, რაც ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად, კავკასიაც აღმოჩნდა იმ რეგიონთა რიცხვში, საიდანაც ადამიანები მიემგზავრებიან ტერორისტულ დაჯგუფებებში ჩასართავად. აღნიშნულმა სააშკარაოზე გამოიტანა პრობლემათა მთელი სპექტრი, რაზეც აქტიურ საუბარს აქამდე როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოება თავს არიდებდა. ავტორთა მიზანია, ახლებურად წარმოაჩინონ, ერთი მხრივ, რუსეთისა და საქართველოს ისლამურ თემებში რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები, მეორე მხრივ კი – მიმოიხილონ მთავრობების წინაშე ისლამური ტერორიზმის გააქტიურებასთან დაკავშირებული გამოწვევები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონში. ამასთან, გაანალიზონ დასახელებულ სახელმწიფოთა ანტიტერორისტული პოლიტიკა და წარმოაჩინონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართულ-რუსული თანამშრომლობის შესაძლებლობები.

თანამედროვე ტერორისტული საფრთხის მოკლე მიმოხილვა

ისლამური ტერორიზმი დღევანდელი მსოფლიოს უსაფრთხოების დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ისლამის რადიკალური ფორმები, როგორც ტერორისტული აქტივობის იდეოლოგიური საფუძველი, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში იძენს აქტუალობას,¹ როცა ტერორიზმის ინტერნაციონალიზაცია და დესეკულარიზაცია იწყება. თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებული სიმწვავეთ დააყენა ისლამური ტერორიზმის პრობლემა.

1993 წელს Foreign Affairs-ში სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ გამოთქმულ ჰიპოთეზას ახალი სიცოცხლე შესძინა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ, როდესაც ალ-ქაიდამ წარმატებით შეძლო აშშ-ის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ერთადერთი კატასტროფული ტერორისტული აქტის განხორციელება. ამან დასავლეთის ქვეყნები აიძულა, გადაეხედათ საკუთარი პოლიტიკისთვის ისლამური რელიგიისა და მისი მიმდევრების მიმართ. თუ ვინმემდვანელებთ მოსაზრებით, რომ ტერორიზმი – ეს არის პოლიტიკური ძალადობის ფორმა, რომელიც საზოგადოებაში შიშისა და უნდობლობის დათესვით ცდილობს, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოზე ან საერთაშორისო თანამეგობრობაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური ომის პირველი ფაზა ტერორისტული აქტორების სასარგებლოდ დასრულდა.

დასავლურ სამყაროში ისლამური რელიგიისა და მუსლიმი თემის მიმართ გაჩნდა ერთგვარი შიში, რამაც ხელი შეუწყო მოცემულ ჯგუფებში სოციალური იდენტობის კრიზისის გაღრმავებას. მოხდა მუსლიმი თემის გაიგივება ტერორისტულ საფრთხესთან, ასევე გაჩნდა შიში, რომ მუსლიმი მიგრანტთა მზარდი რაოდენობა საფრთხეს შეუქმნიდა დასავლური ცხოვრების წესსა და ღირებულებათა სისტემას. შიშის ფონზე აღმოცენებული გაუცხოება და დასავლური საზოგადოების ბუნებრივი თავდაცვითი რეაქცია, მუსლიმთა მხრიდანაც არ იქნა სწორად დანახული და, ნაცვლად ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა დიალოგისა, მივიღეთ სოციალური და კულტურული გახლეჩა.

მუსლიმი თემის ინტეგრაციის პრობლემა დასავლეთში, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით გლობალიზაციის ძალით დასავლური ლიბერალური ღირებულებებისა და მასკულტურის გავრცელება, მუსლიმი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ბადებს შიშს და იწვევს იდენტობის პირველწყაროებთან: ენასთან, ეროვნებასთან, ეთნიკურობასა და, რაც ყველაზე მთავარია, რელიგიასთან დაბრუნებას. ამით აიხსნება, მსოფლიოს არაერთ რეგიონში ადამიანთა მზარდი დაინტერესება ისლამური ფუნდამენტალიზმით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ისლამური ტერორიზმი არ წარმოადგენს საფრთხეს მხოლოდ დასავლური საზოგადოებისთვის. იგი აქტუალურია პოსტ საბჭოთა სივრცეშიც, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

პოსტ საბჭოთა ქვეყნების უმეტესობამ, სახელმწიფოებრიობის მიღების შემდეგ, ნულიდან დაიწყო თვითგამორკვევისა და თვითიდენტიფიცირების პროცესი, რამაც, ერთი მხრივ, გააღრმავა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი უსაფრთხოების ვაკუუმი, მეორე მხრივ კი – ითამაშა კატალიზატორის როლი ეროვნული, ეთნიკური, ტერიტორიული და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების გაღვივებაში. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ შეგვიძლია, მოვიყვანოთ რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის დინამიკა და ტრანსფორმაცია. ჩეჩნური ეროვნული იდეის მარცხმა, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ხისტმა, ძალისმიერმა, იზოლაციონისტურმა და რეპრესიულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იჩქერიის სეკულარული პროექტის თანდათანობით ტრანსფორმაციას – „კავკასიის საამიროს“ პროექტად, დღეს კი რეგიონში „ისლამური სახელმწიფოს“ აღმოცენების შემდეგ – კავკასიის ვილაიეთის პროექტად. უკვე არსებული სეპარატისტული რისკი ჯიჰადისტური მოძრაობით წარმოქმნილმა ტერორისტულმა საფრთხემ ჩაანაცვლა, რომელსაც არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, არამედ მისი მოსაზღვრე ქვეყნების უსაფრთხოებაზეც აქვს სერიოზული გავლენა.

მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი შესაძლებლობები მისცა მთელ რიგ სახელმწიფოებს: თუკი ადრე კავკასიის რეგიონი და კასპიის ზღვის აუზი „რკინის ფარდით“ შემოზღუდულ, აკრძალულ ზონას წარმოადგენდა ისეთი რეგიონული მოთამაშეებისთვის, როგორცაა თურქეთის რესპუბლიკა, ირანის ისლამური რესპუბლიკა და სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ეს სივრცე არა მხოლოდ გაიხსნა, არამედ იქ მიმდინარე ტურბულენტური პროცესების ფონზე ხელსაყრელი ნიადაგი შეიქმნა მოცემული ქვეყნებისთვის რეგიონში პოზიციების განსამტკიცებლად.

¹ Arnaud Blin, G. C. (). The history of terrorism from antiquity to Al Qaeda. Berkeley: University of California Press.

ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა უთანასწორობამ მიგრაციული პროცესები წარმოქმნა, ამასთან ერთად ე.წ. „ღირებულებათა“ ექსპორტი უფრო ადვილი გახდა. საბოლოოდ აღმოვჩნდით იმ რეალობის წინაშე, სადაც რადიკალიზაციის ხელშემწყობ შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს ემატება რადიკალიზმის გარე საინფორმაციო-პოლიტიკური დეტერმინანტებიც.

2011 წელს ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა პროცესმა, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ სახელითაა ცნობილი, მოცემულ რეგიონებში უსაფრთხოების სერიოზული ვაკუუმი წარმოშვა, რამაც ტერორისტულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა, ახალი ძალით გაეშალათ ბრძოლა არსებული წესრიგის წინააღმდეგ. ალ-ქაიდას კლასტერების გააქტიურებამ, ისლამური სახელმწიფოს აღზევებამ და სხვა ტერორისტული ჯგუფების გაძლიერებამ, მათ მიერ არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპასა და რუსეთის ფედერაციაში განხორციელებულმა წარმატებულმა ტერორისტულმა აქტივობამ აჩვენა, რომ 21-ე საუკუნის ტერორიზმი, არა მხოლოდ ტრანსნაციონალური დანაშაული, არამედ სოციალური პროცესიცაა.

ამას ადასტურებს მეორე ტენდენციაც, ათასობით ადამიანი ევროპის ქვეყნებიდან გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთში, რათა მონაწილეობა მიეღო ისლამური სახელმწიფოს „ბრძოლაში“ „სახალიფოს“ შესაქმნელად. მოცემული ტენდენცია ფიქსირდება არამხოლოდ ევროპაში, არამედ ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და პოსტ საბჭოთა ქვეყნებშიც. გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების გზაჯვარედინს, რომელიც გამოირჩეოდა მრავალეთნიკურობითა და მრავალკონფესიურობით, შესაბამისად ატარებდა და დღემდე ატარებს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური საზოგადოებებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, პრობლემებსა თუ გამოწვევებს.

ისლამი საქართველოში

საქართველოში მუსლიმი თემის არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია არსებობს. ისლამური რელიგია ქვეყანაში მე-7 საუკუნიდან შემოდის, არაბული სახალიფოს კავკასიის რეგიონის ექსპანსიის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მუდმივად ჰქონდა კავშირი (ხშირად არცთუ მშვიდობიანი) მუსლიმურ სამყაროსთან, ისლამის გავრცელების „მე-2 ტალღა“ მხოლოდ მე-15 – მე-16 საუკუნეებიდან იწყება, როცა დასავლეთ საქართველო ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო – ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. „ისლამიზაციის მე-2“ ტალღა იძულებით ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, ქვეყანაში არ მომხდარა ისლამის კანონიკური ფორმის ერთბაშად ჩამოყალიბება და დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ერთგვარი შერეული რელიგიური ნორმები.²

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, კერძოდ პანკისის ხეობაში ნახური წარმოშობის ჩრდილო კავკასიური ხალხის, ქისტების ჩამოსახლება იწყება. აღსანიშნავია, რომ მათი საგრძნობი ნაწილი თავდაპირველად ქრისტიანი იყო. პირველად გაშენებული სამი სოფლიდან მხოლოდ ერთში – დუისში, ცხოვრობდნენ მუსლიმები, დანარჩენი ორი სოფლის – ჯოყოლოსა და ომალოს მოსახლეობა ქრისტიანულ რელიგიას მისდევდა. ქისტების გამუსლიმების პროცესი მე-20 საუკუნის შუა წლებში უკვე საბჭოთა პერიოდში დასრულდა.³ რეგიონში გაბატონებული იყო ისლამის სუნიტური მიმდინარეობა, კერძოდ შაფიიტური მადჰაბი, ასევე შეინიშნებოდა ისლამის ერთგვარი მისტიკური მიმდინარეობის – სუფიზმის გავლენა. **აღსანიშნავია, რომ სუფიური პრაქტიკა საკმაოდ საინტერესოდ შეერწყა ადგილობრივ მთის ტრადიციებს, ამდენად ჩამოყალიბდა ერთგვარი პაგანიზებული, ხალხური ისლამი, რომელსაც სხვაგვარად ტრადიციული ისლამის სახელით მოვიხსენიებთ.**

მოცემულ პროცესს ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდის რეპრესიებმაც რელიგიური დენომინაციების მიმართ⁴, რამაც ისლამის კანონიკური, წიგნიერი ფორმის ერთგვარი დაკნინება გამოიწვია, ვინაიდან რელიგიური სწავლება ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა მორწმუნეებს.

მოგვიანებით, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ, კერძოდ მე-

² რელიგიები საქართველოში (2008). თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

³ იქვე.

⁴ იქვე.

19 საუკუნის 60-70-იან წლებში, აფხაზეთიდან მუსლიმი მოსახლეობა იძულებით გადაასახლეს ოსმალეთში, რაც ისტორიას მუჰაჯირობის სახელით შემორჩა.

საბჭოთა პერიოდში განვითარებულმა რეპრესიულმა პროცესებმა საქართველოში ისლამის გავრცელების გეოგრაფიული არეალიც შეცვალა. მაგალითად, მესხეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველები სტალინის ხელისუფლებამ თურქეთის პოტენციურ მოკავშირეებად აღიქვა და 1944 წლის 14-16 ნოემბერს 100 000-ზე მეტი მუსლიმი მესხი იძულებით გადაასახლა ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე.⁵

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტ საბჭოთა სახელმწიფოებში მოხდა, აქვს ისლამის „რეკონსტრუქცია“, ანუ წიგნიერ ნორმებზე დამყარებული ისლამის დაბრუნება, რომელიც თავის დროზე საბჭოთა კავშირის მიერ ცალკეული რელიგიური დენომინაციების მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს შეეწინააღმდეგა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემულ პერიოდში რელიგიური ცოდნა ძირითადად ვიწრო ჯგუფებმა ზეპირსიტყვიერი ფორმით შეინარჩუნეს და ამგვარადვე ხდებოდა მისი გადაცემა, რამაც, თავის მხრივ, ისლამური რელიგიის ერთგვარი ფოლკლორიზაცია გამოიწვია. რელიგია შეხამებული იყო ეთნოკულტურულ ტრადიციებთან, მის არადომინანტურ სტატუსთან, ადგილობრივ ყოფასთან.⁶ აღნიშნულმა ერთგვარი ვაკუუმი წარმოშვა რელიგიური ცოდნის თვალსაზრისით, რომლის შევსებაც უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. როგორც უკვე ითქვა, საზღვრების გახსნამ კავკასიის რეგიონში მეზობელი ქვეყნების შეღწევისთვის ნაყოფიერი ნიადაგი გააჩინა, ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული რელიგიური ჯგუფების მიერ ისლამური პრობელიტიზმის ნახალისების თვალსაზრისით. ამ პროცესის ძირითად მამოძრავებელ ძალას, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში რუსეთის იმპერიიდან ემიგრირებული კავკასიური ეთნიკური ჯგუფები, მეორე მხრივ კი – საზღვარგარეთ, ძირითადად თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში, შიიტური თემის შემთხვევაში კი – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში განათლება მიღებული ახალგაზრდა კლერიკები წარმოადგენდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დღემდე არსებობს ერთგვარი კოლიზია ისლამის ტრადიციულ და კანონიკურ მიმდინარეობებს შორის. შესაბამისად, საქართველოში ისლამური საზოგადოება არ არის ჰომოგენური თემი, არამედ დება მათი ფრაგმენტაცია ავტონომიურ ჯგუფებად.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით, დღეისათვის საქართველოში 398 677 მუსლიმი ცხოვრობს, რაც დაახლოებით ქვეყნის სრული მოსახლეობის 11%-ს შეადგენს.⁷ საქართველოში მუსლიმთა კომპაქტურად განსახლების რეგიონებია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (132 852), ქვემო ქართლი (180 216), კახეთი (38 683). გარდა აღნიშნულისა, მსხვილი მუსლიმური თემებია წარმოდგენილი თბილისსა (16 268) და გურიის რეგიონში (12 951).

საქართველოში მუსლიმთა დიდი ნაწილი სუნიტია. შიიტები ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლში ცხოვრობენ.⁸

ისლამის რადიკალიზაციის პრობლემა საქართველოში

სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს 2015 წლის ანგარიშის თანახმად,⁹ სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით 50-მდე საქართველოს მოქალაქე იმყოფებოდა. არაოფიციალური ინფორმაციით კი საქართველოდან ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართულ ადამიანთა რიცხვი 100-ს აღწევს. მოცემულ ორგანიზაციებში ახალგაზრდების გადინება ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქვემო ქართლის, პანკისის ხეობისა და გურიის რეგიონიდან ხდება. ამ ტენდენციამ ქვეყნის წინაშე ახალი სიმწვავით დააყენა მუსლიმური თემის ცალკეულ ჯგუფებში რელიგიის რადიკალიზაციის პრობლემა.

საქართველოში ისლამური რელიგიის რადიკალიზაციის დეტერმინანტებზე საუბრისას მნი-

⁵ რელიგიები საქართველოში (2008). თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

⁶ რ. ბარამიძე, (2015 წლის 7 ივლისი). ისლამური სახელმწიფო და საქართველოს მუსლიმური თემი. მოპოვებული Heinrich Boll Stiftung სამხრეთ კავკასია: <https://ge.boell.org/ka/2015/07/07/islamuri-saxelmcipo-da-sakartvelos-muslimuri-temi>

⁷ (2014). geostat.ge. Retrieved from census.ge: <http://census.ge/ge/results/census>

⁸ რელიგიები საქართველოში (2008). თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

⁹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.08.2015-31.12.2015. იხ.: <http://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/SSSG%20REPORT.pdf>

შენელოვანია, როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორების გათვალისწინება. გარე ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეზობელ რეგიონებში 90-იანი წლების ბოლოს განვითარებულ პროცესებს, კერძოდ ჩეჩნეთის მეორე ომს. 1999-2000 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა დაახლოებით 10000-ზე მეტი დევნილი ჩეჩენი, სხვადასხვა ინფორმაციით მათ შორის იყვნენ კომბატანტებიც, რუსლან გელაევის მეთაურობით.¹⁰

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება პანკისის ხეობაში სუნიტური ისლამის ჰანბალიტური მაზჰაბის სალაფიტური მიმდინარეობის გავრცელება,¹¹ რომელიც თავისი არსით ისლამის ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატიული მიმდინარეობაა.

ძირითადად ჩეჩნეთის რესპუბლიკა და ნაწილობრივ სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოები იქცნენ საქართველოში სალაფიზმის უმთავრეს „იმპორტიორებად“. ამას ხელი შეუწყო იმ პერიოდში პანკისის ხეობაში არსებულმა უმძიმესმა სოციალურმა ფონმა, კრიმინოგენულმა ვითარებამ და ქართული სახელმწიფოს ინსტიტუციურმა სისუსტემ, რომელსაც არ შესწევდა ძალა ხეობაზე სრულფასოვანი კონტროლი დაემყარებინა.

რაც შეეხება აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონებს, აქ შესაბამისად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ თურქეთი და ირანი, რომლებიც ადგილობრივი მუსლიმი თემების ხელშეწყობას მიიჩნევდნენ საკუთარი გავლენების გაძლიერებისა და ინტერესების დაცვის ერთგვარ საშუალებად.

დასახელებულ ქვეყნებში მოქმედ ელიტებს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის წარმატებული იმპლემენტაციისთვის სჭირდებოდათ, შეექმნათ იდეოლოგიური დასაყრდენი საქართველოში, აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერაციასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ამის მიღწევის ერთ-ერთ გზას კი პოსტ საბჭოთა სივრცეში ისლამის „რეკანონიზაციის“ პროცესის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

თურქეთისთვის საქართველო აზერბაიჯანთან პირდაპირი სახმელეთო კავშირის დამყარების მთავარი საშუალებაა და, შესაბამისად, რეგიონში საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური დღის წესრიგის პრაქტიკაში რეალიზების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. რაც შეეხება ირანის ისლამურ რესპუბლიკას, მისთვის საქართველო ასევე ახალი ენერგეტიკული და ეკონომიკური პროექტების განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. იმავდროულად, საქართველო ირანული და თურქული ინტერესების გადაკვეთის ერთ-ერთ არეალია. საქართველო, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოსაზღვრე ქვეყანა, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც არსებობს შესაძლებლობა, რომ მისი ტერიტორია (ისევე, როგორც აზერბაიჯანის) გამოყენებულ იქნას ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში გარკვეული ღონისძიებების განსახორციელებლად. მეორე მხრივ, საქართველო მიმზიდველია ტურისტული და სატრანზიტო პოტენციალის თვალსაზრისითაც.

ხსენებული ქვეყნებისთვის ბუნებრივად ჩნდება აუცილებლობა საქართველოს შიგნით საკუთარი პოზიციების განმტკიცებისა. ამ ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა საზოგადოებაში იმგვარი მასის შექმნა, რომელიც იზიარებს მოცემული ქვეყნების სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ღირებულებებს. ღირებულებათა ექსპორტის ეფექტურ საშუალებად კი ხშირად საგანმანათლებლო ინსტიტუტებს იყენებენ. არაბული, თურქული და ირანული ორგანიზაციების მიერ ქართველი მუსლიმი ახალგაზრდებისთვის ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობის შეთავაზება ერთგვარ პრაქტიკად იქცა. საქართველოს არაერთმა მუსლიმმა მოქალაქემ მიიღო განათლება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, საუდის არაბეთში, ეგვიპტეში, იორდანიაში. აღნიშნული თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა, ვინც მოცემულ სახელმწიფოებში იღებს სასულიერო განათლებას, ქვეყანაში ბრუნდება, როგორც რადიკალური შეხედულებების მატარებელი, თუმცა იმ ადამიანთა ნაწილს, ვინც ხელს უწყობდა საქართველოდან ახალგაზრდების გამგზავრებას სირიასა და ერაყში ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში ჩასართავად, სასულიერო განათლება სწორედ მოცემულ ქვეყნებში აქვს მიღებული.¹²

რაც შეეხება რელიგიის რადიკალიზაციის შიდა ფაქტორებს, აღსანიშნავია ოთხი ძირითადი ფაქტორი: **თეოლოგიური ფაქტორი, სოციალ-კულტურული ფაქტორი, ეკონომიკური ფაქტორი და საინფორმაციო ფაქტორი.**

რადიკალიზაციის თეოლოგიური ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს რელიგიური ნორმების

¹⁰ Nichols, J. (2000). The Chechen Refugees . Berkeley Journal of International Law, 241-259.

¹¹ სუნიტური ისლამში გამოყოფენ ოთხ ფუნდამენტურ რელიგიურ სკოლას, იგივე მაზჰაბს. ესენია: ჰანაფიტური, მალიქიტური, შაფიიტური და ჰანბალიტური. ყველაზე კონსერვატიული მოცემულ სკოლებს შორის ჰანბალიტური მაზჰაბია, რომლის წიაღშიც აღმოცენდა ისლამის ისეთი ფუნდამენტალისტური მიმდინარეობები, როგორიცაა სალაფიზმი და ვაჰაბიზმი.

¹² გიორგი გოგუაძე, ს. კ. (2015). *დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები*. თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია.

ინტერპრეტაციის პრობლემას. კერძოდ, საუბარია რელიგიური სწავლების კონტექსტუალურ და ტექსტუალურ განმარტებაზე. პირველი გულისხმობს რელიგიური ნორმების დეფინირებას თანამედროვე გარემოს, არსებული სოციალური და კულტურული კონტექსტის შესაბამისად. ამ უკანასკნელს მიმართავენ ისლამური რელიგიის ზომიერი მიმდევრები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას გვასწავლის რელიგია, არამედ ისიც, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მოცემული სწავლების რეფლექსია თანამედროვე სამყაროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგია მიყვება საზოგადოების განვითარებას. იგი უფრო გახსნილია, თანამედროვეობასთან თავისუფალი ლავირებისთვის დიდი სივრცე აქვს.

რელიგიური დოგმებისა და სწავლებების ტექსტუალური განმარტებისას სახეზე გვაქვს წმინდა წერილში გადმოცემული გამოცხადების აბსოლუტური პრიმატი, რაც გულისხმობს იმას, რომ დოგმათა ინტერპრეტაცია ხდება არა საზოგადოების თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინებით, არამედ წმინდა წერილში გადმოცემული სწავლების პირდაპირი მიღების გზით. გამოირიცხება წმინდა ტექსტის მიმართ ყოველგვარი ჰერმენევტიკული მიდგომა. დოგმათა ინტერპრეტაციის ამ ფორმას, როგორც წესი, კონსერვატორი კლერიკები მიმართავენ, რომელთა სწავლებაც ფუნდამენტალისტურ ხასიათს ატარებს. ამგვარი სწავლების ერთ-ერთი მახასიათებელი გახლავთ ისიც, რომ იგი კულტურის დესაკრალიზაციის წინააღმდეგია. იგი ასევე გამორიცხავს აზრის მრავალფეროვნებას, როგორც რელატივიზმის, ანუ რამდენიმე ჭეშმარიტების არსებობის შესაძლებლობას.¹³ ამგვარი მიდგომა წარმოშობს ნოყიერ იდეოლოგიურ ფუნდამენტს რადიკალი კლერიკებისთვის, რომელთათვისაც მიუღებელია თანამედროვე სამყაროს ინტეგრაციული ტენდენციები, გლობალიზაცია, სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი რეკვიზიტები. რელიგიური სწავლების ტექსტუალური განმარტებებით, თანამედროვე მსოფლიო წესრიგს წარმოაჩენენ როგორც ბოროტებას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც თითოეული მორწმუნის მოვალეობაა.

შემთხვევითი არ არის, რომ ისლამის როგორც სალაფიტური, ისე ვაჰაბიტური მიმდინარეობა ჰანბალიტური მაზჰაბის, ყველაზე კონსერვატიული ისლამური რელიგიური სკოლის წიაღში ჩამოყალიბდა.¹⁴

საქართველოში, ისევე როგორც პოსტ საბჭოთა ქვეყნების ნაწილში, ისლამის რადიკალიზაციის თეოლოგიური ფაქტორის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არის კანონმდებლობით დარეგულირებული მუსლიმური სასულიერო განათლება. არ არსებობს არც ერთი ისლამური უნივერსიტეტი, ხოლო მედრესეები და ისლამური პანსიონები, რომლებიც უცხო სახელმწიფოში არსებული ფონდების დოტაციაზე არიან, პრაქტიკულად საკანონმდებლო რეგულაციების მიღმა ფუნქციონირებენ. ასეთი პანსიონი მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოცდაათია, სადაც დაახლოებით 900 ბავშვი იღებს განათლებას.¹⁵ არ ხდება სასწავლო პროგრამის შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შესაბამისად სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ ახორციელებს იმის მონიტორინგს, თუ რა ტიპის სახელმძღვანელოებით ხდება სწავლება, რა ფასეულობებს ეფუძნება სასწავლო პროგრამა და რა ღირებულებების მატარებელი არიან ის ადამიანები, ვინც აწვდის რელიგიურ განათლებას მოსწავლეებს. ასეთ ვითარებაში არსებობს

¹³ რელიგიები საქართველოში (2008). თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ ვაჰაბიზმი და სალაფიზმი თანამედროვე მედიაში პრაქტიკულ სინონიმებად გამოიყენება, მათი ერთმანეთთან გაიგივება არ არის მიზანშეწონილი. სალაფიზმი ისლამში არსებული პურიტანული კონსერვატიული მიმდინარეობაა. იგი არ წარმოადგენს ერთიან სტრუქტურულ რეგულაციულ მსოფლმხედველობას, არამედ ნაკრებია სხვადასხვა ისტორიული პერიოდის სწავლებებისა, შესაბამისად განსხვავებულია მოსაზრებები სალაფიზმის ჩამოყალიბების პერიოდის შესახებ. მოცემული რელიგიური მიმდინარეობის პირველი ჩანასახი ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში გვხვდება. ტერმინი სალაფიზმი მომდინარეობს „წინაპრების“ აღმნიშვნელი არაბული სიტყვიდან (მოიაზრება წინასწარმეტყველი მუჰამედი და მისი მომდევნო ორი თაობა, რომლებიც ჭეშმარიტ, შეურყენელ ისლამს მისდევდნენ). სალაფიტებისთვის დამახასიათებელია სწრაფვა, პირველი, ე.წ. სუფთა ისლამის მიმდევრების, ღვთისმსახურებისა და რელიგიური ტრადიციების გამეორება.

რაც შეეხება ვაჰაბიზმს, იგი მე-18 საუკუნის 40-იან წლებში ყალიბდება არაბეთის ნახევარკუნძულზე, ნეჯდის მხარეში. მისი დამფუძნებელია მუჰამად იბნ აბდულ უაჰაბი. უაჰაბის მოძღვრება უარყოფს ყველანაირ სიახლეს და ესწრაფვის ყურანისა და სუნას პრაქტიკაზე დაფუძნებული სოციალური ქცევის ნორმების იმპლემენტაციას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვაჰაბიზმი ეწინააღმდეგება მისტიციზმის ყველანაირ გამოვლინებას. ამდენად იგი პრაქტიკულად შეუთავსებელია ისლამის სუფისტურ ტრადიციასთან. ვაჰაბის მოძღვრება ასევე უარყოფს წმინდანების, წმინდა ადგილების, საფლავების თაყვანისცემის ტრადიციას. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ასკეტიზმზე. დაგმობილია ყველა ტიპის ფუფუნება, მათ შორის ყავისა და თამბაქოს მოხმარებაც. ვაჰაბიზმმა პოლიტიკური აქტუალობა შეიძინა 1745 წლიდან, როდესაც შედგა კავშირი მუჰამად იბნ აბდულ ვაჰაბსა და ანაიზას ტომის ბელადს, მუჰამად იბნ საუდს შორის. 1932 წელს, სწორედ ამ უკანასკნელის შთამომავალი აბდულ აზიზ იბნ საუდი უყრის საფუძველს საუდის არაბეთის სამეფოს.

ვაჰაბიტური ტრადიცია თავისი შინაარსით სალაფიტური მოძღვრების ნაწილია. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ვაჰაბიტი სალაფიტი, თუმცა ყველა სალაფიტი არ არის ვაჰაბიტი.

¹⁵ მოსწავლეების ცხოვრება მუსლიმურ პანსიონებში, ეთერ თურაძე, „ბათუმელები“ 05.03.2015 იხ.: <http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/38053/>

რეალური რისკი იმისა, რომ ცალკეული სასწავლო დანესებულებები ავრცელებდნენ რადიკალურ მსოფლმხედველობას. ისლამის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდისთვის სასულიერო განათლების მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად საზღვარგარეთ, კერძოდ თურქეთში, სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამგზავრება რჩება, რაც დღევანდელი გათვალისწინებით ნამდვილად არ წარმოადგენს სირთულეს. მიგრაციის ამგვარი ფორმა კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში ახალგაზრდა კლერიკთა ფენის წარმოქმნას, რომელიც კონკურენციაშია არსებულ, ე.წ. „ტრადიციული“, „პაგანიზებული“ ან „ხალხური“ ისლამის მიმდევარ სასულიერო ელიტასთან.

რაც შეეხება რელიგიის რადიკალიზაციის **სოციალურ და კულტურულ** ფაქტორს, მისი საფუძვლები ქართულ ისტორიასა და კულტურაში უნდა ვეძებოთ. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო მიღებული შეხედულება, რომლის თანახმადაც გამუსლიმებული ქართველები აღარ ითვლებოდნენ ქართველებად. ამგვარ მიდგომებს ვაწყდებით თანამედროვე საქართველოშიც, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ სამოქალაქო ნაციონალიზმის და სახელმწიფოში ეროვნებათა და რელიგიათა კონსოლიდაციის პრობლემით. მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს დასუსტებისა და მისადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვის ფონზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის ზრდითა და ეკლესიის გარკვეულ ნაწილში ფუნდამენტალისტური იდეების პოპულარიზაციით. ეს ორი მოვლენა ერთობლიობაში გვევლინება ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული პრობლემის ძირითად მსაზღვრელად.

მუსლიმებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, როგორცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონები, იშვიათობას არ წარმოადგენს საჯარო სივრცეში, მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში ადამიანთა დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.¹⁶ მსგავსი მიდგომები და ტენდენციები უმეტესწილად წარმოშობს ერთგვარ გაუცხოებას ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას შორის, რომელიც შემდგომში ასახვას პოვებს ცალკეული ჯგუფების რადიკალურ შეხედულებებში.

მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ მუქარების სერია, რომელიც მოდიოდა საქართველოდან სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით გასულ მოქალაქეთა მხრიდან. თუ გავანალიზებთ ამ მოვლენას, დავინახავთ, რომ მუქარის ავტორები იყვნენ ძირითადად აჭარიდან ან გურიიდან (აჭარელი ეკომიგრანტები) გასული ადამიანები.¹⁷ მოცემულ რეგიონებში ქრისტიან და მუსლიმ თემებს შორის ინტერაქციის ხარისხი შედარებით მაღალია.

ქართული სახელმწიფოს მიმართ არ გაჟღერებულა არც ერთი მუქარა პანკისის ხეობიდან გასული პირების მხრიდან. მოცემული ხეობა ძირითადად დასახლებულია მუსლიმი მოქალაქეებით, რომელთაც პრაქტიკულად არ აქვთ ყოველდღიური შეხება ქრისტიანულ თემთან.

რაც შეეხება **ეკონომიკურ ფაქტორებს**, მას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საზოგადოების რადიკალიზაციის დეტერმინანტებს შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუსლიმებით კომპაქტურად დასახლებული საქართველოს რეგიონები დგანან იმავე ტიპის სოციალური და ეკონომიკური სირთულეების წინაშე, როგორც ქვეყნის სხვა დანარჩენი ნაწილები. ამ შემთხვევაში ეკონომიკური პრობლემები, სამუშაო ადგილების არ არსებობა, ცხოვრების დაბალი სტანდარტი, ხარისხიან განათლებაზე შეზღუდული წვდომა, მოცემულ რეგიონებში არსებულ სოციო-კულტურულ ფაქტორებთან ერთად ქმნის საზოგადოების რადიკალიზაციისთვის ხელსაყრელ პირობებს.

აღნიშნულის ფონზე კი იქმნება საინფორმაციო ველი, სადაც ჩანს, რომ საქართველოდან ტერორისტული მიზნით გასულმა ადამიანებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ისლამური სახელმწიფოს რიგებში. შესაბამისად, ვრცელდება ე.წ. „წარმატების ისტორია“, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა შეძლონ ახალი რეკრუტების მოზიდვა.

იმ ფონზე, როდესაც ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციის საშუალებები შეზღუდულია, მსგავსი ტიპის „წარმატების ისტორიები“ ხელს უწყობენ ახალგაზრდებში რადიკალური განწყობის გაჩენას. მათი ნაწილის მიერ ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვა სოციალური სტატუსის ამაღლების, ან უბრალოდ უკეთესი მომავლის შექმნის ერთგვარ საშუალებადაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ისლამური სახელმწიფოს მიმზიდველობა იკლებს, რაც, ერთი

¹⁶ თ. მიქელაძე, (2013). *სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ*. თბილისი, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი.

¹⁷ მჭედლიშვილი, ბ. (2015 წლის 23 11). *ISIS-ის ქართველი მებრძოლების მიმართვა საქართველოს*. მოპოვებულია: <http://rustavi2.com/ka/news/32458>

მხრივ, განაპირობა ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ განხორციელებულმა წარმატებულმა ოპერაციებმა. ანტიტერორისტული კოალიციის მოქმედების შედეგად, ორგანიზაციამ დაკარგა მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი,¹⁸ მეორე მხრივ კი – იმ ფაქტმა, რომ სავარაუდოდ მოხდა საქართველოდან წასული რამდენიმე მოქალაქის მკვლელობა, რომელთაც ტერორისტული ორგანიზაციის რიგების დატოვების სურვილი გამოთქვეს.¹⁹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სახეზეა რელიგიური რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები, შეიძლება ითქვას, ისლამური ექსტრემიზმის საფრთხე დღეს მინიმალურია, რაც, ერთი მხრივ, განაპირობა „ისლამური სახელმწიფოთი“ იმ ახალგაზრდების იმედგაცრუებამ, რომლებიც ტერორისტული ჯგუფის „სამიზნე აუდიტორიას“ წარმოადგენენ, მეორე მხრივ კი – სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ანტიტერორისტულმა პოლიტიკამ.

საქართველოს ანტიტერორისტული პოლიტიკის მიმოხილვა

სხლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებისა და ტერორისტული ჯგუფების გააქტიურების ფონზე, საქართველოს წინაშე შემდეგი ხასიათის გამოწვევებია: **საქართველოს ტერიტორიიდან ექსტრემისტების გასვლა ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული მიზნით, საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთის ფედერაციიდან ექსტრემისტების გადინება ახლო აღმოსავლეთში.**

საქართველოს მიერ გატარებული კონტრ-პოლიტიკა შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ანტიტერორისტული კანონმდებლობის გამკაცრება – 2014 წლის აპრილში ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ, სისხლის სამართლის 323-ე პრიმა მუხლით განისაზღვრა, რომ საერთაშორისო ტერორიზმში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობა წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 12-დან 17 წლამდე. აღსანიშნავია, რომ აქამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პრაქტიკულად არ ახდენდა საერთაშორისო ტერორიზმის ცალკე განსაზღვრას, არამედ იგი განიხილებოდა როგორც ჩვეულებრივი ტერორისტული აქტივობა.

327-ე პრიმა მუხლის თანახმად, დასჯადად გამოცხადდა ტერორისტული მიზნებისთვის პიროვნების გადაბირება, ხოლო 328-ე მუხლის მიხედვით, განხორციელდა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, ან უცხო ქვეყნისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა კიდევ ორი ახალი განმარტება, უცხოური ტერორისტული დაჯგუფებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორიზმის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლის მიხედვით კი, დასჯად ქმედებად გამოცხადდა ნებისმიერი პირდაპირი და ირიბი მოწოდება ტერორისტული აქტივობისკენ, მიუხედავად ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისა.

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დაზუსტდა და მნიშვნელოვნად გამკაცრდა სასჯელები ტერორისტული აქტივობისთვის.

უნყებათაშორისი თანამშრომლობა – საქართველოს ძალოვან უწყებებს შორის კოორდინაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად პრემიერ მინისტრთან არსებულ უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში შეიქმნა კონტრტერორისტული სამუშაო ჯგუფი. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სახელმწიფოს ცალკეული უწყებების შესაძლებლობები ტერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმოცვლის, ასევე ერთობლივი კოორდინირებული ღონისძიებების ჩატარების თვალსაზრისით.

სასაზღვრო კონტროლის გამკაცრება – ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების თვალსაზრისით. 2014 წლიდან გამკაცრდა კონტროლი საქართველოს მოქალაქეთათვის მეორე პასპორტის გაცემაზე, ასევე გაიზარდა სამგზავრო დოკუმენტების დაცულობის ხარისხი. საქართველოს ხელისუფლება სარგებლობს გაეროს მიერ მომზადებული სასაქციო სიებით, რათა არ მოხდეს ქვეყანაში ტერორისტულ საქმიანობაში ექვმიტანილი ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსვლა, ასევე დაინერგა კომერციულ ფრენებზე მგზავრთა წინასწარი სიების გამოყენების პრაქტიკა. გაუმჯობესდა ბიომეტრიული და ბიოგრაფიული სკრინინგის ხარისხი ქვეყნის ლეგალურ სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე. გაიზარდა სანაპირო დაცვის საპატრულო და საკონტროლო შესაძლებლობები.

¹⁸ Martin Chulov, Hannah Summers. (2016, October 17). *Mosul offensive: forces launch mass attack on Iraqi city in bid to oust Isis*. Retrieved from The Guardian: <https://www.theguardian.com/world/2016/oct/17/iraqi-forces-begin-assault-on-isis-stronghold-mosul>

¹⁹ აღნიშნული ვარაუდი ეყრდნობა პანკისის ხეობის ცალკეულ წარმომადგენელთა მოსაზრებებს.

დღეს ძირითადი პრობლემა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრის სრულფასოვანი კონტროლია რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია რთული გეოგრაფიული რელიეფით, მეორე მხრივ კი – რუსეთის ფედერაციასთან არსებული დაძაბული ურთიერთობებით. რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობს სრულფასოვანი კონტროლის მექანიზმები, შესაბამისად მოცემული ტერიტორიები წარმოადგენს ერთგვარ „შავ ხვრელს“ ექსტრემისტული ჯგუფების გადაადგილებისთვის. საქართველოს სასაზღვრო ძალებისთვის დაკეტილია აფხაზეთის აკვატორიაც.

რაც შეეხება სხვა მეზობელ ქვეყნებს, საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიერა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა სამხრეთ მეზობლებთან: სომხეთთან, თურქეთსა და აზერბაიჯანთან.

აშშ-ის დახმარებით გაიზარდა საქართველოს სასაზღვრო ძალების შესაძლებლობა, აღმოაჩინოს მასობრივი განადგურების იარაღი ან მათი კომპონენტები. აღნიშნული დახმარება მოიცავდა მესაზღვრეთა მომზადებას, ასევე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემას.

ბრძოლა ტერორიზმის დაფინანსებასთან – საქართველო გახლავთ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შეფასების ექსპერტთა კომიტეტის (V) წევრი. ქვეყნის ხელისუფლებამ 2014 წლის მარტიდან მიიღო ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია. ასევე შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტებისა და ძალოვანი უწყებების კოორდინირებულ მუშაობას აღნიშნული მიმართულებით.

რადიკალიზაციასა და ექსტრემიზმთან ბრძოლა – რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ბრძოლის წინააღმდეგ ქვეყანამ 2014 წლიდან დაიწყო კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა. ერთი მხრივ, აღნიშნული მიზნად ისახავს, საზოგადოების მონყვლადი ჯგუფებით დასახლებულ ადგილებში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას, მეორე მხრივ კი – სოციალური და კულტურული ინტეგრაციის უზრუნველყოფას.

2015 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული სამოქალაქო თანხმობის სტრატეგია განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომელზეც უნდა იმუშაოს სახელმწიფომ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის თვითმყოფადობის შენარჩუნება და მათი სრულფასოვანი ჩართულობა სახელმწიფოს ცხოვრებაში.

საქართველოს მონყვლად რეგიონებში ვითარების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებამ, ასევე საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებმაც ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებს განსაკუთრებული სტატუსი და მასთან დაკავშირებული შეღავათები მისცა.

სახელმწიფოს ანტიექსტრემისტულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პანკისის ხეობას. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო სივრცეში მოცემული რეგიონი გაცილებით პოზიტიურადაა წარმოდგენილი, ვიდრე გასულ წლებში. აღნიშნული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებაში ხეობასთან დაკავშირებული ნეგატიური წარმოდგენების შეცვლას, რაც თავის მხრივ ამცირებს უნდობლობისა და გაუცხოების ხარისხს პანკისის მოსახლეობასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიზარდა ქვოტების რაოდენობა პანკისელი აბიტურიენტებისთვის, რაც ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას ქისტის ახალგაზრდებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ პანკისის ხეობაში კომპლექსური ღონისძიებები განახორციელა,²⁰ კერძოდ, 2016 წლის 10 იანვარს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ესტუმრა პანკისის ხეობას და გამართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მან ახალგაზრდებს შესთავაზა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურება. 16 თებერვლიდან კი ხეობის სოფელ დუისის საზოგადოებრივ ცენტრში თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა სამხედრო სამსახურით დაინტერესებული ახალგაზრდების რეგისტრაცია დაიწყეს. 2016 წლის მარტში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მუსლიმი აღმსარებლობის სამხედროთათვის სამლოცველოები გაიხსნა. იმავე წლის 22 აპრილს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ პანკისის ხეობაში ვიზიტისას პირადად გააცნო პანკისელი რეკრუტების მშობლებს ინფორმაცია მათი შვილების მდგომარეობის, სამსახურებრივი და საცხოვრებელი პირობების შესახებ.

2016 წლის აპრილში პანკისის ხეობაში გაიმართა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პრეზენტაცია. ამ და სხვა აქტივობების შედეგად, გაიზარდა ხეობაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვი.

2016-2017 სასწავლო წლიდან პანკისის ხეობის საჯარო სკოლებში დაიწყო ჩეჩნური ენის სწავლება,

²⁰ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. (2016, 04 23). Retrieved from mod.gov.ge: <https://mod.gov.ge>

რამაც ცალსახად პოზიტიური გავლენა იქონია ადგილობრივი ახალგაზრდების განწყობაზე ქართული სახელმწიფოს მიმართ.

კონტრ ტერორისტული ღონისძიებები – ანტიტერორისტული კანონმდებლობის გამკაცრების პარალელურად სახელმწიფომ გადადგა ქმედითი ნაბიჯები ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში მყოფი პირების გამოსავლენად და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

2015 წლის 14 ივნისს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტომ, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით, დააკავა საქართველოს მოქალაქე გიორგი კუპრავა, რომელიც აქტიურად იყო დაკავებული ინტერნეტ-სივრცეში ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდით.

იმავე წელს დააკავეს პანკისის ხეობის, სოფელ დუისის მკვიდრი აიუბ ბორჩაშვილი, რომელსაც ბრალად წარედგინა ისლამური სახელმწიფოს სასარგებლოდ ახალგაზრდების რეკრუტირება. სასამართლომ მას სასჯელის სახით 14-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

2015 წლის 22 ნოემბერს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს პანკისის ხეობის მკვიდრი დავით ბორჩაშვილიც.

გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფომ ისლამური სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქმედი საინფორმაციო პორტალების უმრავლესობა დახურა. ასევე სახელმწიფომ მოუწოდა მედიას, თავი შეიკავოს ისეთი ინფორმაციის გავრცელებისგან, რომელიც შეიცავს ძალადობას ან ძალადობისკენ მოწოდებას.

ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ანტიტერორისტულმა პოლიტიკამ მოკლევადიან პერსპექტივაში თავისი შედეგი გამოიღო – საქართველოს ტერიტორიიდან ახლო აღმოსავლეთში ტერორისტული მიზნით მოქალაქეთა გადინება ნულამდე დავიდა.

პრობლემა და გამონაკლისი

გოგადად ტერორისტული მოქმედების სტრატეგია და სახელმწიფოს ანტიტერორისტული პოლიტიკა ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა ლოგიკას მისდევს.

ტერორიზმი თავისი არსით ფსიქოლოგიური ოპერაციაა. ტერორისტული ჯგუფები წარმატებას აღწევენ საზოგადოებაში შიშის დანერგვის გზით. შიში კი ირაციონალური კატეგორიაა. შესაბამისად, ტერორიზმის შემთხვევაში სახეზე გვაქვს სახელმწიფოზე არაპირდაპირი, ირიბი შეტევა საზოგადოების ემოციის გავლით, ხოლო ბრძოლის უმთავრესი იარაღი არის შიში, მიუხედავად იმისა, თუ რა ხერხით ხორციელდება ტერორისტული აქტი.

აღნიშნულისგან განსხვავებით, სახელმწიფო პრაქტიკულად ყოველთვის გვევლინება რაციონალურ აქტორად – კონტრ-ზომები, რომელსაც მიმართავენ ცალკეული ქვეყნები, არის რაციონალური, როგორც წესი, მიმართული ტერორისტული კერების ლიკვიდაციისკენ. ხელისუფლებები ტერორიზმთან ბრძოლისას ძირითადად სახელმწიფო რეპრესიულ აპარატსა და ორგანიზებული ძალადობის ინსტიტუტებს ეყრდნობიან, მაგალითად: აშშ-ის და ნატოს ინტერვენცია ავღანეთში, რუსეთის ფედერაციის კონტრ-ტერორისტული პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში.

თითქმის ყოველთვის, როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ვსაუბრობთ ორი თვისებრივად განსხვავებული კატეგორიის, ემოციურისა და რაციონალურის დაპირისპირებაზე. აქ ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება რაციონალურმა ორგანიზმმა დაამარცხოვოს ემოციური, ირაციონალური წარმონაქმნი?

საქართველო, მართალია, არ განეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელიც შესაძლოა, წარმოადგენდეს იმ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების პირდაპირ სამიზნეს, რომლებიც ისლამის რადიკალიზებულ, დამახინჯებულ ფორმებს იყენებენ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის შეფუთვისთვის, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე არ არსებობს. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, კვლავ რჩება ქვეყნის შიგნით რელიგიის რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები, შესაბამისად არსებობს ალბათობა ამის მიხედვით ექსტრემისტულად განწყობილი ადამიანების რაოდენობის ზრდისა. იმის თქმა, რომ ქვეყანაში მოიხსნა ისლამური ტერორიზმის საფრთხე, გადაჭარბებულია. იგი არსებობს პასიური ფორმით, შესაბამისად არსებობს მისი ხელახალი გააქტიურების რისკი. რადიკალიზაციისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს საქართველოს

მუსლიმი თემის ინტეგრაციისა და სახელმწიფოში კონსოლიდაციის პრობლემები, რომელთა გადაჭრა გრძელვადიანი პოლიტიკის საკითხია.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი არასდროს ყოფილა საქართველოში ინსტიტუციონალიზებული იმგვარად, როგორც მაგალითად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. აღნიშნული, ერთი მხრივ, განპირობებულია უშუალოდ ისლამური რელიგიის თავისებურებებით, მეორე მხრივ კი – ისლამურ თემში არსებულ ინტერესთა ჯგუფების სიმრავლით, რასაც ხელს უწყობს რელიგიური ნიშნით მიგრაციული პროცესები. აღნიშნულ პრობლემას ხელს უწყობს ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკა ქვეყანაში არსებული რელიგიების მიმართ. მაგალითად, მუსლიმი თემი 2004 წლამდე არ ფლობდა არანაირ სამართლებრივ სტატუსს.²¹ მართალია, 2004 წლიდან ისლამური თემი იძენს იურიდიული სუბიექტის სტატუსს, თუმცა ამან წარმოშვა სხვა ხასიათის პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნებით დანესებულ რეგლამენტაციასა და შეზღუდვებთან. თუკი 2004 წლამდე მუსლიმი თემი ახერხებდა რესურსების თავისუფალ განკარგვას, მას აღნიშნული საშუალება შეეზღუდა 2004 წლის შემდეგ.

საქართველოში არსებული ისლამური თემის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ცნობს ან არ ემორჩილება მუსლიმთა სამართლებრივ და არ ენდობა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, ვინაიდან ზემოთ ხსენებული ინსტიტუტების საქმიანობა ძირითადად მიმართულია არა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზისკენ, არამედ მხოლოდ ზედაპირზე არსებული პრობლემების, ერთგვარი სიმპტომების მოგვარებაზე. სახელმწიფო პოლიტიკის აღნიშნული ხარვეზი განპირობებულია იმით, რომ გადანყვეტილებების მიღება, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების განსაზღვრა უმეტესწილად ხდება ჩინოვნიკების დონეზე და ნაკლებია პროცესში მუსლიმი თემის რიგით წარმომადგენელთა ჩართულობა, შესაბამისად გადანყვეტილებები მოკლებულია კომპეტენტურობას და ვერ პასუხობს რეალურად არსებულ გამოწვევებს.²²

აღნიშნული პრობლემის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფომ პრაქტიკულად „გააერთიანა სუნიტი და შიიტი მუსლიმები“, რასაც ცალკეული მუსლიმი კლერიკებისა და ლიდერების მხრიდან მკვეთრად ნეგატიური შეფასებები მოჰყვა.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქართულ სახელმწიფოს ამ დრომდე არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები საქართველოში არსებული მუსლიმი თემის უცხო სახელმწიფოთა გავლენისგან დასაცავად, ასევე ისლამური საგანმანათლებლო დაწესებულებების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოსაქცევად. ამ ვითარებაში მისასალმებელია სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამართლებრივ მცდელობა, საქართველოში დააფუძნოს ისლამური უნივერსიტეტი, სადაც ქართველი მუსლიმები შეძლებენ უმაღლესი სასულიერო განათლების მიღებას, თუმცა აღნიშნული სერიოზულ გამოწვევებს უკავშირდება. პირველ რიგში, პრაქტიკულად არ არსებობს კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული ბაზა,²³ რომელიც ამგვარი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობას დაარეგულირებს. ცალკე პრობლემას წარმოადგენს სასწავლო ლიტერატურა და პროფესიონალი კადრების უკმარისობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის დაარსებისთვის პრობლემურია ისიც, რომ, როგორც უკვე ითქვა, საქართველოში მცხოვრები მუსლიმების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აღიარებს მუსლიმთა სამართლებრივ, ასევე არსებობს რისკი იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის მართლმადიდებელი ნაწილი ნეგატიურად შეხვდება ამგვარი სასწავლებლის დაარსებას.

პრობლემად რჩება რუსეთის ფედერაციასთან საზღვრის სრულფასოვანი კონტროლი, შესაბამისად არსებობს რუსეთიდან საქართველოში ექსტრემისტული ჯგუფების შემოსვლის საფრთხე ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით რუსეთის ფედერაციაში შეღწევის საშიშროება. აღნიშნული რისკები კიდევ უფრო გაიზრდება სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ სახმელეთო პოზიციების დაკარგვის შემდეგ, რადგან სამხედრო მარცხი არ ნიშნავს მოცემული ტერორისტული ორგანიზაციის საბოლოო განადგურებას. დიდი ალბათობით, იგი იატაკქვეშეთში გადაინაცვლებს და ალქაიდას მსგავსად ეცდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული უჯრედების საშუალებით განაგრძოს ბრძოლა. გადარჩენილი მეზობლები შეეცდებიან გააღწიონ სირიასა და ერაყიდან და მესამე ქვეყნებს შეაფარონ თავი. იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალური მონაცემებით რუსეთის ფედერაციიდან

²¹ ეკატერინე ჭითანავა, ნ. ჭ. (2014). *რელიგიურ გაერთიანებათა საქორეობების კვლევა საქართველოში*. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

²² რ. ბარამიძე, (2015 წლის 7 ივლისი). *ისლამური სახელმწიფო და საქართველოს მუსლიმური თემი*. მოპოვებული Heinrich Boll Stiftung სამხრეთ კავკასია: <https://ge.boell.org/ka/2015/07/07/islamuri-saxelmcpo-da-sakartvelos-muslimuri-temi>

²³ კვალიფიკაციის ჩარჩო, აკრედიტაციის სტანდარტი.

4500-მდე პირი ახლო აღმოსავლეთში საბრძოლველად არის გასული,²⁴ არსებობს რისკი, რომ მათი ნაწილი საქართველოს გავლით გადაწყვეტს სამშობლოში დაბრუნებას, მათ შორის ტერორისტული საქმიანობის მიზნით. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა, განცდილი მარცხისა და ადამიანური რესურსების დანაკარგის ფონზე, კვლავ სცადონ საქართველოში ახალი კადრების გადაბირება.

საქართველოს სახალხო დამცველისა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანახმად, პრობლემად რჩება საქართველოს ცალკეულ რეგიონებში (გურია, აჭარა, ქვემო ქართლი) ადამიანების რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები. კვლავ არსებობს საზოგადოების რადიკალიზაციის სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები.

რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას

გემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიეროს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

- ხელი შეუწყოს საქართველოს მონყვლად რეგიონებში განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, წაახალისოს ახალგაზრდული ინიციატივები, ადგილობრივი ახალგაზრდები ჩართოს მუნიციპალიტეტის, რეგიონის ცხოვრებაში.
- გააძლიეროს მუშაობა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის თითოეულ ფაქტზე დადგეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება იყოს ადეკვატური ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში.
- ხელი შეუწყოს საქართველოში მუსლიმურ-ქრისტიანული დიალოგის ინტენსიფიკაციას, უზრუნველყოს დიალოგში მონყვლადი თემის სრულფასოვანი ჩართულობა.
- მოახდინოს რელიგიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევა.
- ხელი შეუწყოს ადგილობრივ მუსლიმ საზოგადოებას უცხო ქვეყნის ფონდებისგან დამოუკიდებლად განავითარონ რელიგიური განათლების სისტემა.
- საქართველოს მონყვლად რეგიონებში მიზანშეწონილია განხორციელდეს ეკონომიკური პროცესების დამატებითი სტიმულირება.
- გამკაცრდეს სასაზღვრო და საემიგრაციო კონტროლი საქართველოს ტერიტორიის ტერორისტული ორგანიზაციების მიერ სატრანზიტო მარშრუტად გამოყენების პრევენციის მიზნით.

რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო და რუსეთის ფედერაცია ისლამური ტერორიზმის თვალსაზრისით განსხვავებული საფრთხეების წინაშე დგანან, ორ ქვეყანას შორის შეხების წერტილები შედარებით მცირეა. მოცემულ ეტაპზე, როდესაც რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი გარკვეულწილად შენელებულია, არსებობს ქვეყნებს შორის გადაუწყვეტელი პრობლემები და ორივე მხარე განსხვავებულად აღიქვამს სამხრეთ კავკასიაში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და არსებულ რეალიებს. ქართულ-რუსული ურთიერთობები სტაბილურად მძიმე რჩება და ამ უცვლელ დინამიკაში იკვეთება ტენდენცია, სადაც ტერორიზმთან ბრძოლისა და უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობის შესაძლებლობაზე მეტად ვლინდება უსაფრთხოების თემით მანიპულაციის მცდელობები. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 2016 წლის მაისს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, განცხადება, რომ თითქოს საქართველო ხელს უწყობს ტერორისტების მომზადებას პანკისის ხეობაში.²⁵ ეს შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საქართველოზე ზენოლის მორიგი მცდელობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. აღნიშნული წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება არამეგობრულად განწყობილი სახელმწიფო შეეცადოს ტერორისტული საფრთხეებით მანიპულაციას, რათა შეძლოს განცხადების ობიექტის დისკრედიტაცია, ასევე აიძულოს იგი წავიდეს გარკვეულ დათმობებზე. საქართველოში არსებული საექსპერტო საზოგადოების ნაწილმა მოცემული განცხადება შეაფასა როგორც ნიადაგის

²⁴ ФСБ: свыше 5 тысяч граждан из России и стран Центральной Азии воюют на стороне ИГ, ТАСС. იხ.: <http://tass.ru/politika/2272750>

²⁵ „ლავროვი პანკისის ხეობაზე, საქართველოსთან ურთიერთობებზე საუბრობს“ civil.ge 26 იან. 16 / 18:58. იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=30068>

მომზადება შესაძლო პროვოკაციებისთვის,²⁶ რისი თქმის საფუძველსაც იძლევა, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სტრატეგიის ანალიზი, მეორე მხრივ კი – წარსული გამოცდილება.

იმისთვის, რომ თანამშრომლობა შედგეს, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის ფედერაციამ არ მოახდინოს საქართველოში ვითარების ხელოვნური გამწვავება და თავი შეიკავოს იმგვარი განცხადებებისგან, რომელიც ნეგატიურად აისახება ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოების გარემოზე. ეფექტური ანტიტერორისტული პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ფლობდეს ინფორმაციას რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული ოპერატიული ვითარებისა და ექსტრემისტული ჯგუფების შესაძლო მოძრაობის შესახებ, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა, რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩნდეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმოცვლის გარკვეული მექანიზმები. ასევე სასურველია, თუ რუსეთის ფედერაცია საქართველოს გადასცემს ტერორისტულ საქმიანობაში შემჩნეულ ან ტერორიზმთან კავშირში მყოფ მოქალაქეთა სიას, რომლებიც არ იმყოფებიან რუსეთის ტერიტორიაზე, რათა საქართველომ მათი ქვეყანაში შემოსვლის შემთხვევაში შეძლოს ადეკვატური ზომების მიღება.

²⁶ მ. ურუშაძე, (2016 წლის 2 თებერვალი). მოპოვებულია Regional Dialogue: <http://regional-dialogue.com/lavrov/>

ბიბლიოგრაფია:

Arnaud Blin, G. C. (2007). *The history of terrorism from antiquity to Al Qaeda*. Berkeley: University of California Press.

Martin Chulov, Hannah Summers. (2016, October 17). *Mosul offensive: forces launch mass attack on Iraqi city in bid to oust Isis*. Retrieved from *The Guardian*: <https://www.theguardian.com/world/2016/oct/17/iraqi-forces-begin-assault-on-isis-stronghold-mosul>

Miller, M. A. (2013). *The Foundations of Modern Terrorism, State Society and Dynamics of Political Violence*. Cambridge: Cambridge University Press.

Nichols, J. (2000). *The Chechen Refugees*. *Berkeley Journal of International Law*, 241-259.

გიორგი გოგუაძე (2015), დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია.

ეკატერინე ჭითანავა (2014), რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროებების კვლევა საქართველოში. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი.

თამთა მიქელაძე (2013), სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი.

რელიგიები საქართველოში (2008), თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და რელიგიური კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეების მიმოხილვა. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი.

სამსახური, ს. ს. (2014). *geostat.ge*. Retrieved from *census.ge*: <http://census.ge/ge/results/census>